წელიწადი პირველი.

ფასი თბ—ში 5 კაპ.
პროვინციაში—6 კაპ.

# ქარიშხალი

№ 4. კვირა, 12 აგვისტო 1907 წ. № 4.

**შინაარსი:** 1) პოლიტიკა და ხალხი.—2 სოციალიზმის სენი.—3 ეროვნული და პროლეტარული ავტონომია საზოგადოთ და ქართველ ერის და ქართველ პროლეტარიატის ავტონომიის კითხვა.—4 ფელეტონი: ძირითადი საფუძვლები სინდიკალიზმისა.—5 უკბილოთა კბენანი და უგუნურთა მსჯელობანი.

## პოლიტიკა და ხალხი

უხსოვარ დროიდგან, როდესაც ხალხი გაიყო ორ ბანაკად: ერთი მხრით მორჩილნი, დაჩაგრულები, გაყვლეფილები, მწარმოებელნი, მართულნი და მეორე მხრით ბატონები, მჩაგრელები, მყვლეფელები, მომხმარებელნი და მმართველები,—მას შემდეგ ძლეულნი სოციალურ ბრძოლაში აახლებენ იერიშს ყოველ დამარცხების შემდეგ გამარჯვებულთა წინააღმდეგ სწორედ ისე, როგორც დიადი მუდამ დამარცხებული, მაგრამ არასოდეს დამონებული სატანა მუდამ გამარჯვებული, მაგრამ მუდამ ბატონობის შესარჩენად მებრძოლი ღმერთის წინააღმდეგ.

ყოველი ხალხური აჯანყება, ამბოხება მონობისგან მიმართული იყო მონობის სრულ მოსპობისაკენ; მაგრამ მიუხედავად ამ გვარი ტიტანიური ბრძოლისა ხალხის უდიდესი ნაწილი ისევ ისე მონობაშია.

როდესაც აჯანყებულთა მოძრაობა უახლოვდებოდა განთავისუფლების ალიონს, ყოველთვის ისე ხერხდებოდა საქმე, რომ ის ძველი ბატონის მაგიერ ახალი ბატონით შეხვდებოდა სოციალურ ალიონს.

დამონებულთ ბატონები მუდამ იმას ეუბნებოდნენ, რომ მათი ხვედრი ამ ქვეყნად თვით ღმერთის გადაჭრილი სამართალი არისო. ისინი კი ვინც ცდილობდენ ადგილის მოპოვებას ბატონების ცხოვრების სუფრაზე ამავე დროს წარმოადგენდნენ ცხოვრების არჩევანში დამარცხებულ ბატონებს, რომლებიც იმოდენად დაინტერესებული იყვნენ დამონებულთა ბედიღბალში, რამოდენად ისინიც წინააღმდეგი იყვნენ თავიანთ ბატონებისა. ბატონობის კანდიდატები იმოდენად ჰქომაგობდენ დამონებულთ, რამოდენად ეს ხელს უწყობდა მათ გაბატონებას—ისინი ბრძოლამდი მუდამ დამონებულ ხალხთან ერთად მოქმედებდენ და ძველი ბატონების წინააღმდეგ გამარჯვებული ბრძოლის შემდეგ მუდამ ღალატობდენ თავიანთ მოკავშირეებს და იჭერდენ გაძევებული ძველი ბატონების ადგილს. მოტყუებული ხალხი ხელახლა იწყებდა ბრძოლას ახალი ბატონების წინააღმდეგ. აი ამგვარ ცვლას ბატონებისა, ამ გვარ უკეთესი ბატონის ძებნას ჰქვია პოლიტიკური თავისუფლებისათვის ბრძოლა. პოლიტიკა გაჩნდა ბატონებთან ერთად და უნდა წავიდეს ბატონებთან ერთად. დღეს უკვე დაწყებულია ამ გვარი სოციალური ბრძოლის ამგვარი წესი. ხალხი იწყებს შეგნებას, რომ ის პოლიტიკური განთავისუფლებისათვის კი არ იბრძვის, არამედ სოციალური განთავისუფლებისათვის, რადგან პოლიტიკური განთავისუფლება არის ბატონის სკამის კანდიდატების განთავისუფლება დამონებულთა მუსკულების დახმარებით.

პოლიტიკურ განთავისუფლების მოტრფიალენი ისე უყურებენ დამონებულთა როლს რევოლიუციის პროცესში, როგორც გაბატონებულნი საზოგადოებრივ პროცესში მშრომელის როლს; გაბატონებულთათვის მშრომელის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში შესდგება მხოლოდ მუსკულურ შრომაში—ბატონობის

კანდიდატებისათვის კი აჯანყებული მონის როლი რევოლიუციაში შესდგება მხოლოდ კანდიდატებისთვის სასარგებლოთ ფიზიკურ ბრძოლაში.

## სოციალიზმის სენი.

თბილისში გამოდიოდა ორკვირეული სამეცნიერო და სალიტერატურო პოპულიარული ჟუნალი „რიჟრაჟი“.

ჩვენ არ შევეხებით იმას, თუ რამოდენად სალიტერატუროა ეს ჟურნალი, რადგან ეს არ შეგვეხება განსაკუთრებით ჩვენ და არც ჩვენი გაზეთის სივიწროვე ითმენს ადგილის ხარჯს.

რაც შეეხება მეცნიერულ მხარეს ამ ჟურნალისა და მის პოპულიარიზაციას იძულებული ვართ ვსთქვათ, რომ მეცნიერებისა არა სცხია რა და პოპულიარიზაციის მძლავრი ნიშანი ადევს. მეცნიერებისა არა სცხია-რა იმიტომ, რომ უმთავრესის უმთავრესი წერილი უვიცობაზეა აშენებული და პოპულიარიზაციის მძლავრი ნიშანი ასვია იმიტომ, რომ ის ხალხშიავრცელებს ჭორებს მოწინააღმდეგეთა შესახებ; ის ჭორის პოპულიარიზაციაა. ან გულწრფელი და გულლია უვიცობაა, ან განზრახ თავის თავს მოისულელებს და აი რატომ.

ამ სამეცნიერო (?) და პოპულიარულ (რის ?) გაზეთში, „რიჟრაჟის“ №-2 მოთავსებულია ხის ფეხებიანი და სარკის თავიანი ავტორის შესაფერი ტიასტა „ანარქიზმი და სინდიკალიზმი“.

აი რა მეცნიერულ აზრებს გადმოგვცემს პოპულიარულად ამ სტატიის ავტორი.

„ანარქისტები თავის არარაობის დასაფარავად ხშირად სინდიკალურ მოძრაობას თავის მოძრაობად აცხადებენ, ხოლო სინდიკალური მოძრაობა თავის ღვიძლ შვილად გამოაქვთ. სინდიკალიზმი ეს თითქმის იგივე ანარქიზმია,—ამაყად გაიძახიან ისინი და ამაში ბევრ უცოდინართ კიდევაც აჯერებენ“.

ვნახოთ ეხლა ვინ არის არარა და ვინ რით ფარავს თავის არარაობას, ვინ რას აცხადებს თავის მოძრაობათ და როგორ, ვის რა მიაჩნია ღვიძლ შვილად და როგორ, ვის მიაჩნია სინდიკალიზმი ანარქიზმათ და როგორ, ვინ აჯერებს ბევრ უცოდინართ და როგორ, ან ვის ჰგონია მუშები არა თუ უცოდინარი, არამედ მომავალშიც ცოდნის შეძენის ვერ შემძლებად.

ნოე[1] თითქმის ჯერ კიდევ თითქოს კიდობანში იყოს და თავის თავის მეტი არავინ ეგულებოდეს ქვეყანაში, ისე გაიძახის, რომ „მივმართავთ სინდიკალიზმის მეთაურთ და მათ ავამეტყველებთ თავის მოძღვრების შესახებ,“ და იქვე ამბობს, „აი, როგორ მოგვითხრობს ამის შესახებ სინდიკალიზმის თეორეტიკი ლაგარდელი.“ დიახაც რომ მეცნიერულია მეთაურის და თეორეტიკოსის მეტყველების ერთი მეორეში არევა, მხოლოდ იმით, რომ ამ გვარი იდანტიფიკაცია თეორეთიკისა და მეთაურისა ნამდვილი კიდობნური მეცნიერებაა და არა ამ ქვეყნიური, ბიბლიურია ისე, როგორც ნოე და მისი კიდობანი. ლაგარდელი ჟურნალისტია, ბურჟუა, რომელსაც უფრო თავისი სახელი აწუხებს, ვინემ სინდიკალური მოძრაობის ბედიღბალი და მეთაური, თუმცა არა ჰყავს რევოლიუციონურ სინდიკატს, თუ მივიღებთ მხედველობაში მის ორგანიზაციას ქვევიდან ზევით, მაგრამ, რომც ჰყავდეს მაინც, ეს იმას ნიშნავს, რომ მეთაური სინდიკატს გარეშე და სინდიკალურ ორგანიზაციას გარეშე კი არ არის ლაგარდელივით არამედ შიგნით. ლაგარდელი არა-მკითხე მეამბეა და ისიც ცოდნით ძლიერ სუსტი და პატივმოყვარეობით ძლიერ მძლავრი ჩვენი კიდობნის მცხოვრებსავით. ლაგარდელი ისეთი თეორეტიკია სინდიკალიზმისა, როგორც ნოე; ისიც ისე შორს დგას სინდიკატზე, როგორც ნოე და ისე მსჯელობს და თეორეტიკოსობს თავის ლოდიკით სინდიკალიზმზე, როგორც ნოე ისიც ისე კიდობნის კაცია შესახებ სინდიკატის ქვეყნისა, როგორც ნოე.

ნოე ამბობს „მეოთხმოცე წლებში სოციალისტების წყალობით, განსაკუთრებით გედისტების (მარქსისტებია) შემწეობით მათ შორის ვრცელდებოდა სოციალიზმი და ისინიც თანდათან უახლოვდებიან სოციალ-დემოკრატიას. სინდიკატი მძლავდება, ვითარდება და სოციალისტურ პარტიის კალთას ქვეშ უფრო და უფრო მაგრდება. მათი კონფედერაცია 1895 წელს ლიმოჟში ახდენს კონგრესს და აქ სწყვეტს: „კონფედერაციის ნაწილები უნდა იდგენ ყოველნაირ პოლიტიკურ სკოლათა გარეშე“;

[1] სიმოკლისთვის ჩვენ მხოლოდ სახელს ვიხმართ

კონფედერაციის მიზანია, შეაერთოს მუშები, რომელნიც იბრძვიან თავის სრულ განთავისუფლებისათვის." ამით მიეცა დასაბამი განსაკუთრებით სინდიკალურ სოციალიზმს. ასეთსავე გზას დაადგა რამდენიმე წლით ადრე ბირჟების ფედერაცია, რომელმაც ბოლოს თავისი ფუნქციები გადასცა კონფედერაციას სოციალისტურ პარტიას." შემდეგ ამისა „პუბლიცისტს," რომელსაც კურსი პლეხანოვის პუბლიცისტიკის ტეხნიკურ სკოლაში დაუსრულებია, მოჰყავს ციტატა კიდევ იმავე კიდობნის „სინდიკალისტის," ლაგარდელის წიგნაკიდგან. ბოლოს დაასკვნის შემდეგს: „როგორც ხედავთ, საფრანგეთის სინდიკალიზმი გამოიწვია" და სხვა, და სხვა და „სამაგიეროდ მას შემდეგ რაც ამსტერდამის კონგრესზე.... სოციალისტური პარტიები... შეერთდენ და ოპორტიუნიზმი უარჰყვეს, სინდიკალისტებიც მათ დაუახლოვდენ და ერთად სიარულს რჩეობენ. ამ ჟამად შეერთებულ სოციალისტურ პარტიის ცენტრალურ ორგანოში (Humanité ) თანამშრომლობენ სინდიკალისტები." შემდეგ ამისა კიდობნელი მწერალი და პუბლიცისტი მოგვითხრობს სინდაკალიზმის „ისტორიას„ სოციალ-დემოკრატიის „ისტორიასთან დაკავშირებით და შესახებ და ერთი მხრით ასკვნის, რომ, სადაც სოციალ-დემოკრატია სუსტია, იქ სინდიკალიზმი მძლავრია და იქ კი, სადაც სოციალისტური (?) პარტია ძლიერია და მასში განხეთქილებაც სუსტი ან სრულიად არ არის, როგორც მაგ. გერმანია, ავსტრია ბელგია და სხვა—სინდიკალური მოძრაობა ან სრულიად არ არის ან ძლიერ მცირეა." ბოლოს კიდობნელი დაასკვნის, რომ „ამ ნაირად, სინდიკალიზმის მსვლელობა მჭიდროთ შეკავშირებულია სოციალ დემოკრატიულ პარტიის მსვლელობასთან. ის დგას ამ პარტიის რევოლიუციურ ნიადაგზე, უარყოფს მხოლოდ მის ოპორტიუნიზმს ამიტომ რაღა გასაკვირველია, რომ ის ერთიანად უარს ყოფდეს ანარქიზმს და ეთანხმებოდეს მარქსიზმს. მისი თეორეტიკები (?) სორელი, ლაგარდელი არ. ლაბრიოლა და სხვა. მარქსისტებია და მარქსის მოძღვრებით ასაბუთებენ სინდიკალიზმს." აქ თავდება ისტორია სინდიკალიზმისა ნოეს მიერ შეთხზული კიდობანში.

გავარჩიოთ, მაშასადამე, ჯერ ეს მხარე და მერე შევუდგეთ სარკის თავიანის სინდიკალიზმის თეორიას.

კიდობნის „პუბლიცისტი" ამბობს, რომ მეოთხმოცე წლებში სინდიკატებში ვრცელდებოდა სოციალიზმი საზოგადოთ სოციალისტების

# ფელეტონი

## მირითადი საფუძვლები.

(გაგრძელება *)

წესი და საშვალება განმათავისუფლებელი მოძრაობის. წესი და საშუალება პოლიტიკური მოძრაობისა. თავისუფალი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—სინდიკალიზმი და იძულებითი კავშირი ბრძოლის და შემოქმედების აწმყოში და მომავალში—პარლამენტარიზმი.

მიწა მთელი თავის ატრიბუტებით ანუ წრე სცენა, ასპარეზი და კვარცხლბეკია საზოგადოებრივი განვითარებისა ისტორიულ მოძრაობაში.

ადამიანი მასალა, აგურია საზოგადოებრივი ისტორიული შენობისა.

ადამიანის საზოგადოებრივი ისტორია ამ ორ პირობათა—წრის და ადამიანის—ურთიერთობის ისტორიაა.

*) იხ. ქარ. № 3.

საერთო პროცესი—ურთიერთობა—ისტორიული მოძრაობისა შედეგია ურთიერთობის—საერთო პროცესის—ორივე წევრის ისტორიული კერძო პროცესისა. *)

თუ ისტორიულ პროცესს აკლია ერთ-ერთი რომელიმე პირობა ურთიერთობისა, საერთო პროცესისა ან წრე, ან ადამიანი, მაშინ ისტორიული განვითარება ევოლიუციონური, პირობითი კი არ არის, არამედ აბსოლიუტური, დიალექტიური, თვითგანვითვრება არის

*) უდროობის გამო ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეტოვა მიწის—ანორგანიული და ორგანიული განვითარების პროცესი და პირდაპირ გადავსულიყავით ანტროპო-გეოგრაფიულ პროცესზე. რომელიც გულისხმობს ბიოგეოგრაფიულ და წმინდათ გეოგრაფიულ პროცესსებს ჩვენ მიერ გამოტოვებულს. ამ პროცესებში კიდევ უფრო ნათლად მტკიცდება მოძრაობა უმცირესი დაბრკოლებისაკენ, უმეტესი თავისუფლებისაკენ და დროის, ენერგიის ეკონომია პროგრესთან ერთად, როგორც **პირდაპირი შეზელის, მოქმედების** შედეგი.

და კერძოთ და განსაკუთრებით გედისტების, ე. ი. მარქსისტების მიერ. ცხადია, მაშასადამე, რომ მარქსისტულ სოციალისტებს გარდა სხვა სოციალისტებიც ყოფილა და უვრცელებიათ მათ შორის სოციალიზმი, ხოლო მარქსისტებს განსაკუთრებით, გულმოდგინედ, უმეტესად უმუშავნიათ; ვთქვათ, რომ ს.-დემოკრატებს ნუმეის შრომა მიუღიათ, ვთქვად რომ განსაკუთრებით და გულმოდგინეთ უწევიათ პროპაგანდა, მხოლოდ საჭიროა ვიკითხოთ: რას და როგორ სოციალიზმს ავრცელებდნენ სინდიკატებში?

**1886** წელს დაარსდა ნაციონალური ფედერაცია სინდიკატებისა. ეს ფედერაცია ემხრობოდა გედისტებს, საფრანგეთის მუშათა პარტიას.

რას წარმოადგენს ეს ს. მ. პ.?

**1876** წელში მარსელის კონგრესზე დაარსდა საფ. მუშ. პარტია, რომელმაც შექმნა ორკეცი პროგრამა: ერთი პოლიტიკური და მეორე ეკონომიური. ეკონომიურ პროგრამას ს. მ. პარტიისას (როგორც ყველგან) ეჭირა და დღესაც უჭერია მეორე ადგილი, პოლიტიკური პროგრამა კი წინ იყო წამოყენებული და პირველი ადგილი ეჭირა. ს. მ. პარტიის მთელი მოქმედება შეისუნთქა პოლიტიკურმა ბრძოლამ, რაც მის თვალში წარმოადგენდა „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებას,“ „la conquete des douvoirs dublics“. ს.-დემოკრატია ყოველგან და ს. მ. პარტია არ აქცევდა და არ აქცევს ყურადღებას პროლეტარიატის სოციალისტურ,—ეკონომიურ— აღზრდას, არამედ მთელი მისი ენერგია მიმართული იყო და არის დღესაც მხოლოდ პარლამენტალურ ბრძოლაზე (?) და აი სწორედ ამიტომ ს. დემოკრატია საფრანგეთში, როგორც ყოველგან, ცდილობდა და ცდილობს გაავრცელოს სინდიკატებში არა სოციალისტური მისწრაფება, არამედ პარლამენტარული და ლეგალური მოღვაწეობა შორეულში დამახინჯებული სოციალიზმის ალთქმით.

საფრანგეთში და სხვაგანაც მთელი მისი მოღვაწეობა მიმართული იყო ყველა საზოგადოებრივ ადგილების, პოლიციელთა ადგილების გამოუკლებლივ, ხელში ჩაგდებისაკენ; მათ სახელმწიფო მართვა-გამგეობა ადგილებში ჩადგომით უნდა ჩაეგდოთ ხელში, რაც საშუალებას მისცემდა პროლეტარიატის (?) დიქტატურის განხორციელებისა, ე. ი. უკეთ რომ ვსთქვათ არა პროლეტარიატის, არამედ პროლეტარიატზე დიქტატორობის მოხდენისა, ისე როგორც არმიის დიქტატურა არის აფიცრების

---

ე. ი. თავის თავისაგან (**из самаго себя**), ავტომატიური და მაშასადამე ფატალისტური (მარქსისტული), პრედეტერმინისტული, და მეცნიერებასთან, გარდა სიტყვიერისა, საერთო არაფერი აქვს. **)

ჩვენ ტლანქად განვიხილეთ ანტროპოგეოგრაფიული, გარეშე პროცესი.

ყოველივე ურთიერთობა იცვლება, ვითარდება ურთიერთობის წევრების განვითარებით, აღმრიცხველის (**числитель**) და აღმნიშვნელის (**знаменатель**) ცვალებადობით, წრის და ადამიანის. თუ აღმრიცხველი მუდმივი, უცვლელი, უძრავია და აღმნიშვნელი კი ცვალებადია მატებით, მაშინ, შედარებით მატებით ცვალებად აღმნიშვნელთან, აღმრიცხველი მცირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში იზრდება; მაგრამ არც აღმრიცხველი, ამ შემთხვევაში წრე და არც აღმნიშვნელი, ადამიანი უცვლელი, უძრავი არ არიან. მაშასადამე საქმე იმაშია თუ როგორია სვლა, მოძრაობის მიმართულება, პროცესის მიმართულება ამ ორ ცვალებადების განსხვავების (დიფერენციალის)—მცირდება თუ მატულობს, თუ ადამიანის ცვალებადობა უფრო სწრაფია, თუ ადამიანი უფრო აჩქარებს თავის სასარგებლო ცვლილებას, ვინემ წრე, რომელზედაც ის მოქმედებს პირდაპირ, მაშინ სწარმოებს მოძრაობა ადამიანისა და მაშასადამე ადამიანურ საზოგადოებისა ნაკლები დაბრკოლებისაკენ, უმეტესი თავისუფლებისაკენ, ენერგიის და და დროის ეკონომია და ის ელემენტი კი, რაც ხელს უშლის ადამიანის და მისი საზოგადოებრივ ამ გვარ მოძრაობას და განვითარებას, იწვევს ფლანგვას ენერგიისას, დროისას და გადააქცევს გარეშე წრეს უმეტეს დაბრკოლებად, რადგან ამ

**) დიალექტიური განვითარება, როგორც თვითგანვითარება, როგორც ავტომატიური ჰქმნის ფატალისტურად, როგორც იდეალისტურს, ისე მატერიალისტურ სისტემას; მაგალითია ჰეგელი და მარქსი, პირველი იდეალისტი-ფატალისტი. მეორე მატერიალისტი ფატალისტი.

(პარტიის) დიქტატურა სალდათებზე. ამგვარი მისწრაფება ს.-დემოკრატიისა საფრანგეთში და სხვაგანაც მოითხოვდა და მოითხოვს, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები, სინდიკატები და ერთი სიტყვით მუშათა კლასი წარმოადგენდეს იმ გვარსავე სამხედრო მაშინას, როგორც არმია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მუშათა არმია ტყვიის ტყორცნის მაგიერ უნდა სტყორცნიდეს საარჩევნო ბიულეტენს—მუშათა კლასი, მუშათა პროფესიონალური კავშირები და სინდიკატები ს.-დემოკრატიის მიხედვით უნდა წარმოადგენდეს ამრჩეველთა არმიას.

მაშასადამე ტყუილია ნოეს კიდობნური აზრი, რომლითაც გედისტები საფრანგეთის სინდიკატებში სოციალიზმს ავრცელებდენ. ისინი (როგორც მისი ძმები სხვაგან) ავრცელებდენ და ავრცელებენ პარლამენტარიზმს, პოლიტიკანობას შორეულ მომავალში დამახინჯებულ სოციალიზმის აღთქმით.

კიდობნის კაცი გვეუბნება, რომ ამ გვარი მოღვაწეობის გამო სინდიკატები თანდათან უახლოვდებიან ს.-დემოკრატიას და თანდათან უფრო მძლავრდებიან, ვითარდებიან და მაგრდებიან სოციალისტურ (?) პარტიის კალთის ქვეშ.

ეს ვაჟბატონი ჯერ ამბობს სოც.-დემოკრატიასთან დაახლოვებაზე, შემდგომ კი სოციალისტურ პარტიის კალთის ქვეშ წიწილებივით შექუჩებაზე; ჩვენ ვერ მიმხვდარვართ სიტყვა სოც. დემოკრატიის ადგილას სიტყვა სოციალისტურის ხმარებას; თუ შეცდომაა, მაშინ ცხადია და ნოე როგორც ადამიანი და ისიც კიდობნის ადამიანი შეიძლება შეცდეს, მაგრამ თუ სიტყვები „ს.-დემოკრატიული პარტია“ და „სოციალისტური პარტია“ სინონიმებათ მიაჩნია მაშინ კიდობნელი ან უვიცია ან განზრახ შულერობს, და ეთამაშება ზოგ დაუხედავ ადამიანის პსიჰოლოგიას. ჩვენ უკანასკნელი უფრო ახლოს გვგონია ჭეშმარიტებასთან.

ვნახოთ, მძლავრდება, ვითარდება და მაგრდება თუ არა სინდიკატები ს.-დემოკრატიის ცინიკურ კალთაში.

როდესაც ამრჩეველებმა დაინახეს მხოლოდ ორატორთა ვარჯიში მჭერმეტყველობაში, როდესაც დაინახეს, რომ მთელ მოღვაწეობა მოლაყბეთა მიმართული იყო, რაც შეიძლება მეტი ხმების მისაღებათ პარლამენტში თავის კანდიდატების გასაყვანათ, როდესაც ამის შემდეგ დაინახეს, რომ ბურჟუაზია ძლიერ მოხერხებულად ანართმევდა უკვე მიცემულ კანონებს, ან ისე ამახინჯებდა მიცემულ კანონებს, რომ ამ კანონების ქონებას

---

გვარი ელემენტები წარმოადგენს საშუალო სივრცეს, რომელიც ისუნთქავს ენერგიას და ფლანგავს დროს ადამიანისას და მის საზოგადოებისას, რომლების მოქმედება ამ შემთხვევაში არის არა-პირდაპირი მოქმედება.

ადამიანის მოქმედებას დღემდის განვლილ ისტორიულ პროცესში სამი დამახასიათებელი მომენტი და მხარე აქვს:

ერთი, როდესაც ადამიანი მხოლოდ მომხმარებელია იმის, რასაც ბუნება მიაწვდის დაუმუშავებელი სახით. მეორე, როდესაც ადამიანი მომხმარებელიც არის და მწარმოებელიც ერთ და იმავე დროს.

მესამე, როდესაც ადამიანი მომხმარებელი და მწარმოებელიც არის ერთდა იმავე დროს, მაგრამ ის უმეტესად მწარმოებელია ვინემ მომხმარებელი ან უმეტესად მომხმარებელია, ვინემ მწარმოებელი ერთდა იმავე დროს.

თუ წრე—სივრცე: წყალი, ჰაერი და ხმელეთი ყველა თავის ატრიბუტებით მასზე მცხოვრებ ადამიანებს თავის ხასიათით აღმოუჩენს უმეტეს დაბრკოლებას ცხადია, რომ ზრდა მცხოვრებთა რიცხვისა შეჩერებული ამ დაბრკოლების შესაფერად; წინააღმდეგ შემთხვევაში სწარმოებს მცხოვრებთა რიცხვის განმრავლება. იმ შემთხვევაში, როდესაც სივრცე, რომელშიდაც ადამიანი და ადმიანთა ჯგუფები ცხოვრობენ, სჭარბობს რიცხვს მცხოვრებლებისას, მაშინ სწარმოებს ზრდა მცხოვრებლების რიცხვისა და გავსება ცარიელი სივრცისა, რომელიც მეჩხრად დასახლებულია მცხოვრებლების მიერ; ამ შემთხვევაში სწარმოებს შინაგანი კოლონიზაცია. როდესაც მცხოვრებთა რიცხვის ზრდა ასწრობს სივრცის ზრდას, მაშინ სწარმოებს ემიგრაცია, რომელიც შესდგება სხვა ხალხის მიერ დასახლებულ სივრცის ცარიელ ადგილების თანდათანი გავსებით.

როდესაც კი ემიგრაცია სწარმოებს მიუხედავად იმისა რომ სხვა ხალხს სავსებით უჭი-

ისევ არ ქონება სჯობდა, როდესაც გამოცდილებით დაჰკარგეს იმედი პარლამენტალური, გზით თავიანთ, როგორც შორეული, ისე ახლობელი მიზნის განხორციელების შესაძლებლობა, და უკანასკნელად როდესაც ფრაქციულმა ბრძოლამ გამოაშკარავა ლიდერების პატივ მოყვარეობა და ავანტიურისტობა, მაშინ ხალხმა, მუშათა კავშირებმა იწყეს ზურგის შექცევა პარლამენტარიებზე და ამით გაამართლეს ის მიდრეკილება, რომელიც მათ უკვე ჰქონდათ პარტიის დაარსებამდის და რომლითაც ისინი ძლიერ უნდობლად უცქეროდენ ყველაფერს, რაც კი სახელმწიფოსაგან, ზევიდგან მოდიოდა. ამ გარემოებამ და მრავალმა სხვამ გამოიწვია ის, რომ საფრანგეთში თავიდგანვე ორ გვარი მოძრაობა იჩენდა თავს მუშათა შორის. ერთი ამ მოძრაობათაგანი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ მისწრაფებას, რომლითაც სახელმწიფო იყო იარაღი საზოგადოებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაში და ეს მისწრაფება მაღლიდგან ქვევით იყო მოხვეული. მეორე მისწრაფება კი გამოიხატებოდა ყოველ სახელმწიფოებრივ მოღვაწეობის უნდობლობით და წარმოადგენდა ისეთ მისწრაფებას, რომელიც ქვევიდგან, თვით ხალხის, მუშების გულიდგან იყო დაწყებული. ამ გვარი იყო გარემოება 1895 წლამდის. ე. ი. იმდრომდის როდესაც უკანასკნელათ ამოისუნთქა ს.-დემოკრატიულმა სინდიკალურმა მოღვაწეობამ, როდესაც მოისპო ნაციონალური ფედერაცია მუშათა სინდიკატებისა, რადგან ყველა მუშა ელემენტები გავიდნენ აქედგან შრომის ბირჟებში და დატოვეს მხოლოდ გედი და ლაფარგი. დიახ რომ სამარცხვინოდ დასრულდა ისტორია ჩვენი კიდობნის კაცის ძმათა საფრანგეთში და ამ გვარადვე დასრულდება კიდობნელის ისტორია ჩვენში თუ შეუძლებელს არ ვივარაუდებთ, როგორც მაგალითად ბრმა მორჩილებას მუშების მხრით და მათ შეგნების ერთ დონეზე გაჩერებას, მაგრამ ეს ხომ სოციალიზმის და თვით მუშათა განთავისუფლების შეუძლებლობის ვარაუდობა იქნება.

„მათი კონფედერაცია, განაგრძობს ხის ფეხებიანი აქილესი პუბლიცისტკაში, 1895 წელს ლიმოჟში ახდენს კონგრეს და აქ სწყვეტს: „კონფედერაციის ნაწილები უნდა იდგენ ყოველ ნაირ პოლიტიკურ სკოლის გარეშე“.

ჯერ ეს სუბიექტი საეჭვო ლიტერატურული ყოფაქცევისა (რომელიც ძლიერ წაგავს

---

რავს სივრცე, მაშინ ამ გვარი ემიგრაცია წარმოადგენს გარეშე კოლონიზაციას.

ამ რიგათ ხალხის ზრდაც სწარმოებს ან უმცირესი დაბრკოლებისაკენ ან უმეტესი დაბრკოლებისაგან. ეს ორი პროცესი შეეფერება ან პირდაპირ კოლონიზაციას ან არაპირდაპირ კოლონიზაციას ცარიელ სივრცეების დაჭერას თავის სასარგებლოდ, ან უკვე დაჭერილ სივრცის დაჭერას თავის სასარგებლოდ და უწინდელ ხალხის საზარალოდ. პირველ შემთხვევაში, პირდაპირ კოლონიზაციაში სწარმოებს ეკონომია დროის და სივრცის, მაშინ, როდესაც არაპირდაპირში სწარმოებს მათი ხარჯი, რადგან კოლონიზაცია სწარმოებს უკვე დაჭერილ ადგილებისგან გაძევების საშუალებით, რაც ზედმეტ ენერგიას ისუნთქავს.

ამ გვარია მნიშვნელობა, მიწის და ხალხის ზრდის შორის განსხვავებისა. როდესაც ხალხი თავის ზრდაში აწყდებიან სივრცის საზღვარს ანუ უნდა გაუჯდეს უკვე დაჭერილ სივრცეს, მაშინ აწყდება უმეტეს დაბრკოლებას, როდესაც პირდაპირ თავისუფალ სივრცეს იჭერს, მაშინ დაბრკოლება, ენერგიის ხარჯი უმცირესია. [1])

გადავიდეთ ეხლა კიდევ უფრო ღრმა და შინაგან პროცესზე, რომლითაც ადამიანი არა თუ მომხმარებელია იმის, რასაც ბუნება პირდაპირ მიაწვდის, არამედ, როდესაც ის იმავე დროს მწარმოებელიც არის, როდესაც ის პირდაპირ მოქმედებს ბუნებაზე იმის შესაცვლელად, ის რასაც ბუნებისაგან ბუნებრივისავე სახით იღებს. [1])

დაბრკოლება, რომელსაც წრე აღმოუჩენს ადამიანს თავის ცხოვრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მისწრაფებაში და ამ მისწრაფე-

---

[1]) ჩვენ არ შეგვიძლია უადგილობის გამო უფრო ვრცლად შევეხოთ ხალხის ზრდის ყოველ მხრივ პირობებს.

[1]) რაც შეეხება ადამიანის მოქმედების მესამე ფორმას, არა-პირდაპირ მოქმედებას ბუნებაზე, რომელიც ზევით მოვიხსენეთ, ჩვენ ვილაპარაკებთ ქვევით როდესაც შევეხებით კლასთა წარმოშობას.

აზნაურ პლეხანოვის ლიტერატურულ და პოლემიკურ ხრიკს) ლაპარაკობს თუ როგორ განვითარდა და გაიზარდა სინდიკატები სოც.-დემოკრატიულ პარტიის კალთის ქვეშ, როგორც წიწილები კრუხის ქვეშ და შემდგომ გადააბამს მოხერხებულათ, რომ მათი, ე. ი. სოც.-დემოკრატიული სინდიკატების განვითარებას მოსდევს 1895 წ. „მათი“ კონფედერაციის კონგრესი, რომელზედაც ადგენენ ისეთ რეზოლიუციას, როგორიც არის ყოველ პოლიტიკურ პარტიის გარეშე დგომა, ე. ი. პოლიტიკურ გარეშემოქმედებით სინდიკატების მიერ თავის სრული განთავისუფლება ასე ეგონება კაცს თითქოს კონფედერაცია სინდიკატების ნაციონალურ ფედერაციის გაგრძელება იყოს, ძლიერ ოსტატურია პლეხანოვის ტეხნიკის მიმდევარისთვის, მაგრამ ძლიერ კიდობნურია. წარღვნა, რომელიც პლეხანოვის დროს ჯერ კიდევ გრძელდებოდა, ეხლა მოისპო და უდაბნო ხალხით გაივსო, კიდობნის დროინდელ მწერალს კი თავის თავი ისევ ისე უდაბნოში ჰგონია.

„ამით“ მიეცა დასაბამი, განაგრძობს ნოე კიდობნელი, განსაკუთრებითი სინდიკალურ სოციალიზმს“, ე. ი. კონფედერაციის დაარსებით მიეცა დასაბამი სინდიკალურ სოციალიზმს და კონფედერაცია ხომ სოც.-დემოკრატიის ნაყოფად იგულის ხმება, მაშასადამე სინდიკალური სოციალიზმის დასაბამი ს. დემოკრატია ყოფილა. გამოდის, რომ, როგორც ნოემ წარმოშვა კაცთა ყოველი მოდგმა წარღვნის შემდგომ, ისე სოციალური წარღვნის, კომუნის შემდგომ მხოლოდ სოც.-დემოკრატია გადარჩენილა, უმრავლესია და გამოუღია მრავალი სოციალისტური შტო, სხვათა შორის, სინდიკალიზმი, რევოლიუციონურად წოდებულიც. **спой свѣтик живым науку ископаемых!**

ასეთსავე გზას ე. ი. სინდიკ. სოც. გზას დასდგომია ნოეს გადმოცემით რამოდენიმე წლით ადრე ბირჟათა ფედერაცია, „რომელმაც ბოლოს თავის ფუნქციები გადასცა კონფედერაციას სოციალისტურ პარტიას“ ვნახოთ ეხლა როგორია ისტორია შრომის ბირჟათა და შრომის საერთო კონფედერაციისა. 1859 წელს პატრონებმა დაარსეს თავიანთი კავშირები, რომლებსაც დაარქვეს „სინდიკალური პალატები“, ამ დროს ტოლენმა პირველად მოითხოვა ამ გვარივე სინდიკალური პალატები მუშებისათვის. 48 წ. შემდგომ მუშათა მოძრაო-

---

ბისავე ზრდა, წარმოშობს ადამიანში დაბრკოლების შესუსტების და თავის სიმძლავრის, ენერგიის გადიდების მისწრაფებას თავის შესაფერ მოქმედებით. ეს შესაფერი მოქმედება არის ეკონომიური, როგორც დაბრკოლების დაძლევის პროცესი, რადგან დაბრკოლების დაძლევა არის მოძრაობის უმცირესი დაბრკოლებისაკენ და მაშასადამე ეკონომია დროისა, ენერგიისა, სივრცისა და როგორც მეთოდი, საშუალება, ამ გვარი მოქმედება, პირდაპირია. ეს პირდაპირი მოქმედება, როგორც მეთოდი, გამოიხატება შრომაში რომელსაც ადამიანი ხარჯავს უმეტესი ნაყოფის მისაღებათ, რომელიც მაშასადამე, როგორც უმეტესი ნაყოფი უმცირესი შრომის, ენერგიის ხარჯისა წარმოადგენს მოგროვებულ ძალას, ენერგიას ე. ი. მის საკუთარი ძალების ზრდას მიღებული ნაყოფის საშუალებით· მისი ენერგიის ზრდა კი მოასწავებს მოძრაობას უმცირესი დაბრკოლებისაკენ, სიმდიდრის წარმოებას, რომელიც წარმოადგენს მატერიალურ კულტურას. მატერიალური კულტურა შესდგება ბიოლოგიურ მოთხოვნილებათა ზრდის და მათი დაკმაყოფილების მისწრაფების ზრდის ხელის შემწყობ ბრძოლაში, შრომაში, რომელიც გამოიხატება ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელ პროცესში - წარმოებაში — რომლის პირდაპირ ნაყოფს შეადგენს ამ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი და საჭირო საგნები. იარაღი ავეჯეულობა (утварь), ერთი ადგილიდგან მეორეში გადასვლის და გადატანის საშუალებანი (способы перемѣщенія), საცხოვრებელი ანუ თავშესაფარი, ტანთსაცმელი და სამკაული, მცენარეების გაშენება და ცხოვრების მოშინაურება და მოვლა თავის მოთხოვნილებათა, მიზნების დასაკმაყოფილებლად და სასარგებლოთ. როდესაც ადამიანთა ჯგუფები და საზოგადოებანი იწყებენ ბინადრობას მაშინ კიდევ უფრო ვინემ ნომადიზმში, იჩენს თავს შრომის განაწილება, რომელიც სწარმოებს ბუნებრივად და ხელოვნურად. ბინადრობასთან ერ-

ბამ ისეთი მნიშვნელობა მიიღო, რომ ყველა ცდილობდა მუშა კლასის გულის მოგებას. **1865** წ. ტიპოგრაფი ბაზენი სტატიაში, რომელიც დაუსტამბეს გაზ. qyas-ში ამბობდა, რომ პარლამენტის ოპოზიცია თავს არ იწუხებს მუშებისათვის იმიტომ რომ ის სისტემატიურად და განსაკუთრებით პოლიტიკური ხასიათის არის. [1]) ბელიუზი კაბეს სიძე **1863** წ. ამბობს, რომ საქმე უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს დაუხმარებლად და არ უნდა დაუცადონ კანონმდებლობითი რეფორმას. ჩვენ არაფერს ვიტყვით პრუდონისტების პროპაგანდაზე. რადგან ეს ცნობილია. ინტერნაციონალის კორესპონდენტები, ტოლენი, ფრიბური და ლიმუზენი, როდესაც ისინი დაესწრენ ინტერნაციონალის დაარსების წლის თავის გადახდას **1865** წელს ვერ გრძნობდენ თავიანთ თავს მოხერხებულად იმ წრეში, რომელიც შექმნა მარქსმა, რომელიც არ ფარავდა მათი მასწავლებელის პრუდონის სიძულვილს. პარიზელებმა შეიტანეს წინადადება, რომ ინტერნაციონალი მისაწვდომი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მუსკულებით მომუშავეთათვის და პოლიტიკური კითხვები, როგორც გარეშე, გაძევებულიყო, მაგრამ ერთზეც და მეორეზეც უარი მიიღეს. ჩვენ არ მოვჰყვებით ისტორიას ინტერნაციონალის საფრანგეთის სექციის მოქმედებისას, მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მთავრობამ დაუწყო დევნა გრავილისტებს. [1]) როდესაც ტოლენი მოთმინებიდან გამოსული მთავრობის უსინდისო დევნით პროკურორს უპასუხებდა ის ამბობდა, რომ მთავრობამ გაჩხრიკა ინტერნაციონალის მეთაურები, თითქოს მათ მეთაურები ჰყავდენ, „ძველი სიკეთე ბურჟუაზიისა ჰქრება; ის რაც ერთხელ მის ძალას შეადგენდა—წესიერება, ეკონომია, შრომა, ეხლა ხალხის ქონებათ ხდება. ჩვენი ასოციაციები, რომლებსაც კანონი ჰგმობს, იქმნებიან წესიერების ერთად ერთი ელემენტები, რომლითაც საზოგადოება შეიძლებს სარგებლობას ახალი ბურჯის შესაქმნელად, მაშინ როდესაც დადგება კატასტროფა.“

და აი, სწორედ როდესაც სწარმოებდა ძიება გრავილისტების შესახებ, მაშინ,

[1]) ჟორჟ ვეილი. სოციალური მოძრაობის ისტოტორია საფრანგეთში.

[1]) რადგან ინტერნაციონალის სამმა კორესპონდენტმა თავიანთი ბიურო გახსნეს პარიზში გრავილიეს ქუჩაზე, გრავილისტებსაც იმიტომ უძახოდენ.

---

თად იწყება ახალი საზოგადოებრივი ფორმაც: თემის წევრები სახლდებიან ერთი მეორის ახლოს, მეზობლად და კიდევ უფრო მაღალი ფორმის თანამშრომლობას ეწევიან; ჩნდება სოფლები, რომლებიც მით უფრო უკავშირდებიან ერთი მეორეს თავისუფლად, რამოდენათ გარეშე მტრული ძალები საშიშია და რამოდენად ბუნება ცდილობს მათ დაახლოვებას; თემში ვითარდება თანამედროვე საზოგადოებრივი მისწრაფების თესლი, დიფერენციაცია, განაწილება შრომისა ჯერ ბუნებრივი, ე. ი. ჯერ თემს ჰყავს თავისი მოხელეები, რომლებიც თავის ნებით მუშაობენ თემის მოთხოვნილებისათვის უსასყიდლოთ და რომლებსაც სამაგიეროდ არჩენს თემი არა შრომის ფასის მიხედვით, არამედ მის მოთხოვნილების დაგვარად; შემდეგ შრომის განაწილება შეიქმნება ხელოვნური; ჩნდება ხელოვნური გაცვლა-გამოცვლა, რომელიც იჭერს უმეტეს ადგილს ბუნებრივი გაცვლა-გამოცვლისა, როდესაც თვითეულს შეუძლია მიიღოს ნაცვლად ის რაც მას უნდა; ხელოვნური გაცვლა-გამოცვლა რომელიც განხორციელებულია ფულის საშუალებით თანდათან ზღუდავს თავისუფლებას მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას ერთი მხრით და ხელს უწყობს მოხმარების დაკმაყოფილებას— ხელს უწყობს შრომის და მოხმარების განცალკევებას. სოფლები გადაიქცევიან ქალაქებად და ამასთან ერთად ვითარდება მთელი პროცესი საზოგადოებრივი მოძრაობისა უმცირესი ან უმეტესი დაბრკოლებისაკენ თავისი შესაფერი პირდაპირი ან არაპირდაპირი მოქმედებით ბუნებაზე, როგორც მეთოდით, რომელიც გამოიხატება ბუნებრივი და ხელოვნური ან თავისუფალი და იძულებითი მოქმედების, შრომის, შრომის განაწილების, გაცვლა-გამოცვლის საშუალებით.

თვით ადამიანის მოქმედება ბუნებაზე ბუნებრივი საგნების შესაცვლელად—დამუშავება (**обработка**) საგნებისა თავის მოთხოვნილებე-

ვინც პროცესში მოჰყვნენ იწვევენ ახალი კომისიის ასარჩევად, რადგან არ უნდოდათ ასოციაციის დაღუპვა, მაგრამ არჩეული დარჩენ ისეთნი ვინც პოლიტიკურ ბრძოლას უფრო ეტანებოდა, ვინემ კომისიის ძველი წევრები, პრუდონისტები.

მაგრამ კომიისიის ახალი წევრებიც გახვია მთავრობამ პროცესში. სასამართლოში ვარლენი, ახალი წევრი, პოლიტიკის მომხრე ამბობდა, რომ კრების და ასოციაციის უფლება ბუნებრივი უფლებაა და, სხვათა შორის, სთქვა, როგორ უყურებს ინტერნაციონალი გაფიცვას ამ ბარბაროსულ წესს ბრძოლისას.

კომუნა დამარცხდა. გეგონებოდათ სოციალიზმი სამუდამოთ გაქრაო, მაგრამ ბედი ხალხისა არავინ უწყის სინდიკატები არ გაქრალან სოციალურ ქარიშხალის დროს. ისინი განაგრძობდენ მაინც თავის არსებობას ავათ თუ კარგათ.

შემდეგი იქნება

## ეროვნული და პროლეტარული ავტონომია საზოგადოთ და

### ქართველ ერის და ქართველ პროლეტარიატის ავტონომიის კითხვა. *)

„საზიზღარი დრო დაგვიდგა ქართველობას, განსაკუთრებით ქართველობას! უმაღლეს პრინციპებისა და ულრმეს თეორიების სახელით აზრის ლაქიაობა გამეფდა ჩვენს ისედაც გაუბედურებულსა და გაუპატიურებულს ქვეყანაში. ქართულმა მაიმუნობამ იქამდის მიაღწია, რომ გულის ასარევი იდიოტობა საღდება დღეს“ და სხვა და სხვა.

„მაგრამ, დავიტრაბახებ, თუ ესეც ტრაბახში ჩამომერთმევა ადამიანს, რომ არა ვყოფილვარ არასოდეს ლაქია არც აზრით და არც გულით, და უნდა ჩავიდინო“ და სხვა, და სხვა.

საქართველოში საზიზღარი ამინდის დადგომის მაჩვენებელი ბარომეტრი Baton-ი ნიშანს საზიზღრობისას ლაქიობის გავრცელებაში და ლაქიობის ზეიმში ხედავს. დიახაც, რომ ლაქიობის ზეიმი სამარცხვინო მოვლენაა, მაგრამ საოცარია ამასთანავე ლაქიაობის კიცხვა იმ ბანაკიდგან, რომელიც ლაქიათა ბანაკს წარმოადგენდა და წარმოადგენს. უსამართლო საყვედურის თავიდგან ასაცილებლად წინდაწინვე უნდა ვსთქვათ, რომ მახინჯი და მშვენიერი ყოველ ოჯახშია თითქმის ისე, როგორც პატიოსანი და სულით მოვაჭრე ყოველ კლასში და წოდებაში მოიპოვება. ამის შემდეგ კი ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სწორედ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც იხდიდა და დღესაც გაუხდია თავის მონოპოლიად სა-

---

ბთან შესაზელათ, როგორც მოძრაობა ნაკლები დაბრკოლებისაკენ ენერგიის და დროის ეკონომიით არის უმაღლესი განვითარება ამ მოძრაობისა და მის თანაარს ეკონომიისა, რომელიც წარმოადგენს ბუნების მიერ დაუმუშავებელ საგნების მოწოდებას. მაგრამ ეს პროცესი ბუნებაზე მოქმედებისა დამუშავება, შრომა, წარმოება ან პირდაპირია ან არაპირდაპირი, როგორც არა ორგანიული და ბიოლოგიური პროცესი უმცირესი ან უმეტესი დაბრკოლებისაკენ მოძრაობისა, რომლის მეთოდს წარმოადგენს არაპირდაპირი და პირდაპირი მოქმედება, ბრძოლა და მოძრაობა. როდესაც მოხელე მუშაობს თავის შეძლების დაგვარად თემისთვის და თემი მისი შრომის გაუზომავად აკმაყოფილებს მას მისი მოთხოვნილების დაგვარად, მაშინ ყოველივე საშუალო (промежуточное) სოციალური სივრცე გამორიცხულია და ურთიერთობა საზოგადოებრივი ადამიანებს შორის სწარმოებს პირდაპირ—საზოგადოებრივი ურთიერთობა პროცესი საზოგადოების შიგნით არ ხედავს თავის გზაზე დაბრკოლებას და მაშასადამე სწარმოებს ენერგიის და და დროის ეკონომიით. [1]) მაშინ კი როდესაც ადამიანის შრომა ღაფასებულია გარეშე პირის ან დაწესებულების მიერ, რომელიც თავის ღაფასების დაგვარად აძლევს ადამიანს შეძლებას თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, მაშინ ადამიანის მოქმედება შეზღუდულია, შეკვეცილია მწარმოებელ ადამიანს და მის მოთხოვნილებას გარეშე მდგომ პირობით, რომელიც ამ შემთხვევაში წარმოადგენს საშუალო ღამაბრკოლებელ წრეს და მაშასადამე ენერგიის, დროის შემსუნთქავ და გამფლანგველ ელემენტს, რომლითაც განსაზღვრულია ადამიანის არაპირდაპირი მოქმედება. ნაწარმოების არა პირდაპირი შერჩევა განხორციელებუ-

* იხ. ქარ. № 2

[1]) მოულოდნელ პირობების გარეშე ჩვენ გვექნება საშუალება ვილაპარაკოთ **სოციალურ** ეკონომიის შესახებ წინაალმდეგ პოლიტიკური ეკონომიისა.

ხელწოდება ქართველისა, რომლებიც დღეს თავის ქართველობით განისხვავებენ თავს ჩვენი საზოგადოების სხვა ნაწილისაგან, მთელი ასი წლის განმავლობაში ლაქიაობდა სულით, გულით და მოქმედებით. მაშინ კი, როდესაც დიდგა თავისუფლების გაზაფხულის პირი, ისინი, რეკლიუს არ იყოს, ზიზღით, მაღლიდგან და დაცინვით უყურებდნენ ბიჭ-ბუჭებს, ლაწირაკებს, „მალჩიშკებს“ და ამავე დროს ლაქიაობდნენ სიბერით დამპალ ბატონების წინაშე; ისინი, მთავრობის წინაშე, რომელიც, როგორც მათი ღვიძლი მამა, ზრუნავდა მათთვის და რომლის დატუქსვის ძლიერ ეშინოდათ მათ, ქვეწარმავლობდნენ, დიახ ქვეწარმავლობდნენ იმ მთავრობის წინაშე, რომელმაც ისინი უზრუნველჰყო თბილი სავარძლებით, მსუქანი ადგილებით და მისცა მათ საშუალება სხვისი ექსპლოატაციისა მხართეძოზე წამოწოლით.

როდესაც საქართველოში რევოლიუციამ დაჰბერა, რას აკეთებდენ მაშინ, რას შვრებოდნენ ქართველობის მონოპოლისტები?

იმათ ცალი ხელი ხალხს მისცეს და ცალი რეაქციას.

როდესაც მუშა და წვრილი გლეხობა იბრძოდა, სად იყვნენ, რას აკეთებდნენ, რას შვრებოდენ ქართველობის მონოპოლისტები?

ისინი შპიკობას ეწეოდნენ და ყაზახ-რუსობას ხალხს უსევდენ, იმ ხალხს, მხოლოდ რომელსაც ქართველობა შეურჩენია, როგორც თავისი საზოგადოებრივობა.

როდესაც ახალგაზდობა, ყვავილი საზოგადოებისა, რომელმაც ნაყოფი უნდა გამოიღოს სცვივდებოდა ჩვენ საზოგადოების ხეს ბრძოლის სუსხის გამო, როდესაც ახალთაობა იხოცებოდა მინდვრად და ქუჩაში რას აკეთებდენ, რას შვრებოდა ქართველობა?

ის სცხოვრობდა მოხერხებულად და საიქაოს გზას ულოცავდა მისი მყუდროების დამრღვეველთ.

როდესაც ჩვენი ახალგაზდობა საპყრობილეების აყროლებულ ჰაერში ლპებოდენ ცოცხლად, რას აკეთებდა, რას შვრებოდა ქართველობა?

ის თავისუფლად სუნთქავდა წმინდა ჰაერზე.

როდესაც რევოლიუცია დამარცხდა, რას შვრება, რას აკეთებს ქართველობა?

ის გამოძვრა სარდაფებიდგან, ჯურღმულებიდგან, ბნელ კაბინეტებიდგან, როგორც ღამურა ბნელით გათამამებული.

რეაქციის ღამურები და თავისუფლების ლამპრები ერთ ჩარჩოში „კარგი“ სურათია, მაგრამ კითხვა სოციალური სფინქსისა მაინც

---

ლია არა-პირდაპირისავე გაცვლა-გამოცვლის საშუალებით, არა პირდაპირი საშუალება გაცვლა-გამოცვლისა კი თხოულობს თავის შესაფერ იარაღის, ფულს, რომელიც წარმოადგენს საშუალო სივრცეს, შუამავალს ნაწარმოებთა შორის. თუ ნაწარმოებთა ზრდა სწარმოებს, რაც ცხადია, მაშინ ცხადია აგრეთვე რომ ფული როგორც შუამავალი ნაწარმოებთა შორის ისუნთქავს ნაწარმოებს და ამგვარად წარმოადგენს ენერგიის და დროის ფლანგვას იმათ მხრით ვინც პირდაპირ აწარმოებს, და ეკონომიას დროისა და ენერგიისა იმათ მხრით ვინც ფულის საშუალებით მაშვალობს, ე. ი. ვინც პირდაპირ არ აწარმოებს. ამას გარდა ცხადია თითქმის თავის, თავად რომ განვითარება სოციალური პროცესისა, რომელიც სწარმოებს მანქანების და სხვა საწარმოვო იარაღების საშუალებით, წარმოადგენს ერთი მხრით მოძრაობას, მოქმედების უმცირესი და მეორე მხრით უმეტესი დაბრკოლებისაკენ და ენერგიის და დროის ან ფლანგვას ან ეკონომიას. ცხადია აგრეთვე, რომ საწარმოვო იარაღთა მეპატრონეობა წარმოადგენს არა-პირდაპირ წარმოებას, მოქმედებას ბუნებაზე თავის დასაკმაყოფილებლად, მაშინ როდესაც მწარმოებლობა, შრომა წარმოადგენს ბუნებაზე პირდაპირ მოქმედებას თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მეთოდი კერძო საკუთრებისა შეეფერება სოციალური განვითარების პროცესს უმეტესი დაბრკოლებისაკენ დროის და ეკონომიის ფლანგვასთან ერთად, როგორც არა-პირდაპირი წარმოება.

ეხლა შეგვიძლია ჩვენ გავიფორმულოთ პროცესი სოციალური განვითარებისა.

1. სოციალური განვითარების პროცესი, წესი, როგორც გარეგანი, ისე შინაგანის მხრით, წარმოადგენს პირდაპირ მოძრაობას უმცირესად დამაბრკოლებელ წრეში დროის, სივრცის და ენერგიის ეკონომიით, მაშინ როდესაც სწარმოებს პირდაპირი მოქმედება ადამიანის ბუნებაზე როგორც მეთოდი, საშუალება ბრძოლისა—პირდა-

დასმულია: „რომელია ქართველობა“? რეაქციის ლამურები, თუ თავისუფლების ლამპრები? რომელია სოციალისტები და რომელი ნაციონალისტები? რისთვის იბრძოდა ხალხი სოციალიზმისთვის თუ ნაციონალიზმისთვის?

„იდიოტს თავის თავი ჭკუიანი ჰგონია“-ო, გვასწავლის B—n-ი და მასწავლებელს კი თავის თავი ჰგონია ჭკუიანი; ვინ არის იდიოტი? ალბად ჩვენ, რადგან B—n ის სწავლაზე არ დავიარებით. ჩვენ გვგონია, რომ ხალხი ერის პოლიტიკური თავის უფლებისთვის არ იბრძოდა და არც უნდა იბრძოდეს, რადგან ერის პოლიტიკური თავისუფლება მხოლოდ პოლიტიკის მომხრეებისათვის არის ხელსაყრელი, პოლიტიკის მომხრეები კი ბატონობის მომხრე არიან; გაბატონებულთა ეროვნებს ჩაგვრაა—დაჩაგრულთა ეროვნებს კი თავისუფლებაა

ვნახოთ ეხლა რა ამოიკითხა „აღსრულდა-ს ავტორმა დე-გრეეფის წიგნში, რომელიც დავითნად გაუხთია.

ჩვენ არაფერს ვილაპარაკებთ იმ ანალოგიაზე, რომლითაც საზოგადოება ორგანიზმათ არის ცნობილი, რადგან ეს თეზისი ჩვენ კითხვის ჩარჩოების გარეშეა; სხვათა შორის ჩვენ შეგვიძლია იმავე დე-გრეეფის სიტყვებით სხვა ადგილას ნათქვამით, დავამტკიცოთ, რომ საზოგადოება ორგანიზმი არ არის; საზოგადოება მარქსიზმითაც კი ორგანიზმია და ვერც მარქსიზმი, ვერც დე-გრეფი და ის კი არა სპენსერიც კი ვერ ამტკიცებს საზოგადოების ორგანიზმობას, თუ სიტყვა ორგანიზმი არ იქმნა ხმარებული ამ შემთხვევისთვის შესაფერ სპეციალურ აზრით.

დე-გრეფი, რომელიც „აღსრულდას“ ავტორსაც მოჰყავს [1]) არ კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაცია შედეგია კოსმოსის წინამორბედი განვითარებისა, არამედ ის ცდილობს იპოვნოს ფორმულა, საზომი რომლითაც კოსმოსის წინამორბედი მომენტის და შემდგომი მომენტის ურთიერთობა უნდა გაზომოს. ამ რიგათ დე-გრეფის სისტემა, როგორც ყველა დღემდის გაბატონებული ფილოსოფიური და მეცნიერული სისტემები, არიან მეცნიერებათა და ფილოსოფიათა სისტემა შესაზომითობითი პრინციპის **служат принципу соизмѣрости явленіи**, მაშინ როდესაც მე პირადად ვარ წინააღმდეგი, და მგონია რომ თვით ბუნებაც და აგრეთვე ის მიმართულება, რომელსაც მე მივ-

1) „ისარი“ № 122.

---

პირი შეზღდა—თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; ამასთანავე პირდაპირი მეთოდი შეზღდისა, როგორც პირდაპირი ვარჯიში, ახელოვნებს ადამიანებს დროის, სივრცის დაპყრობაში და ენერგიის ხმარებაში, რომელიც გამოიხატება პირდაპირ ნაყოფში, როგორც პირდაპირი შეზღდის შედეგით; თვით პირდაპირი ნაყოფი კი, როგორც პირდაპირი და მაშასადამე ეკონომიური, უმეტესად სასარგებლო მომქმედისათვის, წარმოადგენს მოქმედების და მოძრაობის ზრდას შესახებ დაბრკოლებისა, რომელსაც ის თავის განვითარების გზაზე ხვდება, ე. ი. წარმოადგენს ზრდას თავისუფლებისას თავის არსებობის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ბრძოლის და ხელის შემშლელი ძალების წინააღმდეგობის ნიჭის ზრდასთან ერთად.

2. სოციალური განვითარების პროცესი, წესი, როგორც გარეგანი ისე შინაგანის მხრით, წარმოადგენს უკუღმა მოძრაობას უმეტეს დამაბრკოლებელ წრიდგან დროის, ენერგიის და სივრცის ფლანგვით მაშინ, როდესაც სწარმოებს არა-პირდაპირი მოქმედება ადამიანების ბუნებაზე, როგორც მეთოდი საშუალება ბრძოლისა—არაპირდაპირი შეზღდა — თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; ამასთანავე არაპირდაპირი მეთოდი შეზღდისა, როგორც არაპირდაპირი ვარჯიში არ ახელოვნებს ადამიანებს დროის, სივრცის დაპყრობაში და ენერგიის ხმარებაში, რომელიც გამოიხატება არაპირდაპირ ნაყოფში, როგორც არაპირდაპირი შეზღდის შედეგით; თვით არა-პირდაპირი ნაყოფი კი, როგორც არაპირდაპირი და მაშასადამე არა-ეკონომიური, უმცირესად სასარგებლო მოქმედისათვის, წარმოადგენს მოქმედების და მოძრაობის შესუსტებას დაბრკოლებათა დაძლევაში თავის განვითარების გზაზე, ე. ი. წარმოადგენს თავისუფლების თანდათან შემცირებას თავის მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი ბრძოლის და ხელის შემშლელ პირობების წინააღმდეგობის ნიჭის დასუსტებასთან ერთად.

სდევ გვაძლევს ჩვენ ხელში შეუსაზომითობის პრინციპს, принцип несоизмѣрности явлений жизни природы.

ამას გარდა საზოგადოებრივი, სოციალური პრინციპი სულ უკანასკნელ მომენტად არის მიჩნეული დე-გრეფის მიერ თითქმის ისე, როგორც სპენსერს აქვს ეს მიღებული, ორივეს კი თავიანთი კლასიფიკაციით შეაქვთ იერარქია მოვლენათა განვითარებაში და ამასთან ერთად რეალისტური ტენდენცია, ბოლოს კი ორივე ასკვნის მონიზმს ნომინალიზმის წინააღმდეგ, როგორც რეალიზმის უმაღლეს განვითარებას. იმათ კერძო განსაკუთრებულ საზოგადოებრივი მოვლენა კი არ მიაჩნიათ კოსმოსის წინანდელ მომენტის შედეგად, წარმოშობილად, არამედ თვით საზოგადოებრივი მოვლენა საერთოთ, მაშასადამე მათ სურთ ბუნება მათი კლასიფიკაციის და-გვარად და ამ კლასიფიკაციის მიერ დამყარებული იერარქიის და-გვარად მოქმედებდეს. ჩვენი კი ჩემი მოკლე აზრით, საეთო არაფერი გვაქვს არც იერარქიასთან და არც არაფერ ხელოვნურთან ბუნების ცხოვრების ახსნაში.

„მიწა ტერიტორია,—აი რა არის აუცილებელი მასაზრდოებელი საზოგადოებისა, აგრეთვე ასპარეზი იმის მოქმედებისა“ და სხვა და სხვა, იძახის „აღსრულდას“ ავტორი; მცენარე და ცხოველი აი რა ასაზრდოებს ადამიანს და მაშასადამე მოსწამლეთ და შესჭამეთ ადამიანი, რადგანაც მცენარე ზოგი სწამლავს და ადამიანი ცხოველია, აი რა შეიძლება ვთქვათ მსგავსათ „აღსრულდას“ ავტორისა.

მიწა და ტერიტორია, la terre et le teerritore ამათ შორის დიდი ზღვარია. მიწა დიახაც მასაზრდოებელი და ასპარეზია; მიწა ასაზრდოებს ცრემლს და შვებას, უზომო ტანჯვას და ლხინს, სულ-გრძელობას და სულმოკლეობას, სიმტკიცეს, პირდაპირობას, სულის კეთილშობილებას და ღალატს, ფლიდობას და სულმდაბლობას, ყმობას და ბატონობას, სიღატაკეს და სიმდიდრეს, მონობას და თავისუფლებას, შოვინიზმს და სოციალიზმს და სხვა და სხვა. მიწა—ასპარეზია სიკვდილის და სიცოცხლის, სიძულვილის და სიყვარულის და სხვა და სხვა. მიწა ასაზრდოებს ყველაფერს და ასპარეზია ყველაფრისა—მიწა კვარცხლბეკია ისტორიისა, подножіе исторіи და კაცი ის აგურია, რომლისაგანაც აშენებულია ისტორიულ შენობა. დიახ სრული ჭეშმარიტებაა ეს გეოგრაფიული შეხედულება ისტორიაზე, მაგრამ დე-გრეფი სრულიად არაფერ შუაშია აქ; რეკლიუს თხუზულების სათაური „კაცი და დედამიწა“ მრავალ მნიშვნელოვანია და რიტერმა დიდი სამსახური გაუწია ამ სათაურის შექმნას და რა მოხელეა კოზაკი აქლემთა შორის. ან რა შუაშია აქ ტერიტორია? არაფერში გარდა იმისა რომ ტერიტორია კვარცხლბეკია სახელმწიფოისა, территорія подножіе Государства და სხვა და სხვა ხარისხის ბატონობა აგურია სახელმწიფოებრივი შენობისა. ტერიტორია იმ შუაშია, რომ ის ასპარეზი და მასაზრდოებელია ყოველივე უარყოფითისა, ანტისოციალურისა.

მიწა მასაზრდოებელი და ასპარეზია საზოგადოებრივი განვითარებისა ისტორიაში და ტერიტორია კი მასაზრდოებელი და ასპარეზია სახელმწიფოისა—რეგრესისა, რეაქციისა და დაბრკოლებისა—ისტორიული განვითარების მიმდინარეობაში, მოძრაობაში. მიწა მოქმედების საფუძველი და წყაროა ტერიტორია კი მოქმედების შემოფარგვლის, დაბრკოლების და მოქმედების ნაყოფის გამანადგურებელია. ადამიანი მოქმედია მიწაზე სახელმწიფო კი რეაქციაა ადამიანის მოქმედების წინააღმდეგ. მიწა დედაა ადამიანის, ტერიტორია კი დედინაცვალი.

B—n-ი სარგებლობს დე-გრეფით ისე, თითქოს დე-გრეფის მიერ აღმოჩენილი კანონები სოციალური სტატიკისა და დინამიკისა და მი-

---

გავსინჯოთ ეხლა ეს მარტივები საზოგადოებრივობის საკავშირო, სოციალურ და საზოგადოებრივობის სახელმწიფოებრივ ფორმებზე, ე. ი. ვნახოთ, როგორია იარაღი, რომელიც ანხორციელებს შესაფერ პროცესს, წეს შესაფერისავე მეთოდით, საშუალებით. მაგრამ სანამ ჩვენ ბრძოლის იარაღებს შევეხებოდეთ იძულებული ვიქნებით მოკლედ აღვნიშნოთ იარაღი საზოგადოებრივობის წინამორბედ მოვლენათა განვითარების პროცესში, შემდეგ გადავალთ კლასთა წარმოშობა და განვითარებაზე ბუნებრივი—სოციალური—და ხელოვნური—სახელმწიფოებრივი შერჩევის საშუალებით და ბოლოს და უკანასკნელად შევალთ სინდიკალიზმში, რომელიც შუქს მოჰფენს ყველა წინასწარს.

(შემდეგი იქნება)

სივე კლასიფიკაცია სოციალურ მოვლენათა იყოს მეცნიერების და ადამიანური ცოდნის უკანასკნელი და უტყუარი სიტყვა. B—n-ი ამბობს, რომ „ტერიტორია და ხალხი—ორი უმთავრესი ფაქტორია არა ორგანიული და ორგანიული, რომელზედაც შენდება ყველა სოციალური მოვლენანი, რომელთა კლასი ფიკაცია შეიძლება იერარქიულად, მათ უმცირეს საზოგადო ხასიათისა და სიმარტივის მიხედვით... აი ეს კლასიფიკაცია: საფუძველი[1]: ორი ელემენტალური ფაქტორი არა ორგანიული და ორგანიული ტერიტორია და ხალხი, მათზე აშენებულია შემდეგი მოვლენები“: ეკონომიური, გენეზიური· არტისტიული, „რწმენას მოვლენანი—რელიგია. მეტაფიზიკა მეცნიერება“, ზნეობრივი. იურიდიული, პოლიტიკური. ამის შემდგომ B—n-ი ამბობს რომ „აქედგან ცხადად სჩანს, რომ თვით თეორია პროგრესსისა და რეგრესსისა მეტ'ფიზიკურ ფარდებში ველარ დაიწყებს პარპაშს“. ამასთანავე მისივე აზრით ცხადია ისიც, რომ თუ „ყველა ორგანო იშლება ან სუსტდება ან ისპობა მათი ფუნქცია —მაშინ რეგრესსია, თუ კი რეგრესმა იქამდისაც მიაღწია, რომ შეეხო საზოგადოების ორგანიზმთა საფუძველს, საიდანაც საზოგადოება იკვებება და იზრდება,—ტერიტორიასა და ხალხს —მაშინ საზოგადოება გადაშენებისა და გაქრობის გზაზედ დამდგარა და ძნელია მისი შველა. ესეც კარგათ დავიხსომოთ, ეუპედურო ქართველო მკითხველო?...

Б—n-ს აზრთა ამ გვარი სეირნობა იქნებ სასარგებლო და გიგიენური იყოს მისთვის, მაგრამ ჩვენთვის, „ნობათის“ და „მუშის“ B—n-სათვის საზარალო და ანტიგიგიენურია აი რატომ.

ჩვენ ძლიერ ვეჭობთ დე-გრეფის მიერ სოციალური კანონების აღმოჩენას და ვერც ვერავინ აღმოაჩენს ამ გვარ კანონებს შესახებ ცხოვრებისა, რადგან ყოველ გვარი ცხოვრებას ბრძოლაა არსებობისათვის და ბრძოლა, მოქმედება და მოძრაობა კი უკანონობაა. წინააღმდეგს ვერავინ დაამტკიცებს, გარდა სიტყვიერებისა.

„აღსრულდას“ ავტორის აზრით ტერიტორია და ხალხი ორი უმთავრესი ფაქტორია, არა ორგანიული და ორგანიული საძირკველია და სოციალური კი ზედ-ნაშენი; ამ გვარია მარქსიზმიც იმასაც საძირკველი სწამს მონისად, მონისტურ ერთად ერთ მთავარ ფაქტორად, იმ განსხვავებით რომ მისი საძირკველი ეკონომიური და გენეზიურია (იხილე ენგელსი). საქმე მარქსიზმის მსგავსებაში კი არ არის, არამედ ამ მსგავსების მნიშვნელობაში: იქაც მთავარი ერთი მიზეზია გამსაზღვრელი ყოვლისა და აქაც. ამ გვარი მიზეზი კი ბუნებაში არ არსებობს ის რეალისტური მიზეზობრივობაა და არა ნომინალისტური და კონკრეტული. ამას გარედ მიწა ჯერ კიდევ არსებობდა გეოგრაფიულად და ტერიტორია კი არა; მიწა გეოგრაფიული ელემენტია და ტერიტორია კი პოლიტიკური ტერმინია მაშასადამე ტერიტორია თვით დეგრეფის კლასიფიკაციით, რომელსაც B—n-ი ემყარება მოქცეულია მათი კლასიფიკაციის სახურავზე, რომლის გაქრობა და მოსპობა მათივე აზრით არ მოასწავებს ხალხის გაქრობას. ცხადია ეს მოსაზრება იქიდანაც, რომ თუ სანამ ტერტიტორია წარმოიშობებოდა ხალხის პოლიტიკურ განვითარებაში, მანამ სწარმოებდა ხალხის სოციალური განვითარება მიწაზე და დღეს მრავალია ისეთნი და გვგონია თვით Б—n-ც, რომლებსაც მომავალში მიაჩნიათ შესაძლებლათ სოციალური და არა პოლიტიკური საზოგადოებრივი ფორმა. მაშასადამე იქნება მათი აზრით ისეთი დრო მომავალში, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება იარსებებს უპოლიტიკოთ. და თუ ტერიტორია პოლიტიკური მცნებაა მაშინ ცხადია, რომ უპოლიტიკოთ, რომელიც მათი აზრით უკანასკნელი მეშვიდე, ბოლოსნდელი ზედ ნაშენია საზოგადოებისა, შესაძლებელი იქნება საზოგადოებისათვის არსებობა.

ამ გვარად გამოდის, რომ თვით B—n-და მისი მასწავლებლის დე-გრეფის აზრით შეიძლება უპოლიტიკოთ საზოგადოების არსებობა და თუ ტერიტორია პოლიტიკური მცნებაა, რაც ადვილი დასამტკიცებელია,—მაშინ ცხადია რომ საზოგადოებრივი ცხოვრება უტერიტერიოთ შესაძლებელია და არავითარ გაქრობას უტერიტორიობა საზოგადოებას არ უქადის. ეხლა ვიკითხოთ წარმოადგენს თუ არა რეგრესს პოლიტიკის თავიდგან მოშორება? თუ დე-გრეფს

[1] კურსივი მისია. კურსივი რომელიც არ იქნება ნაჩვენები ჩვენად უნდა ჩაითვალოს.

და მის მოწაფეს დავეკითხებით, ვნახავთ რომ უპოლიტიკობა რეგრესია. მათი აზრით რამოდენად, ზედ ნაშენი მოვლენები თანდათან ირღვევა და ჰქრება, იმოდენად სწარმოებს საზოგადოების რეგრესი: „თუ პირიქით ყველა ორგანო იშლება ან სუსტდება, ან ისპობა მათი ფუნქცია—მაშინ რეგრესია. თუ კი რეგრესმა იქამდის მიაღწია რომ შეეხო... ტერიტორიას და ხალხს,—მაშინ საზოგადოება გადაშენებისა... ძნელია მისი შველა 1)“. „თუ საზოგადოების მასსა იზრდება, იზრდება ტერიტორია და ხალხი, იზრდება ყველა მისი ორგანიზმები—ეკონომიური, გენეზიური და სხვა; თუ ამ ორგანიზმთა შორის მჭიდრო ორგანიზაცია რთულსა და რეგულიარულ ფუნქციონალურ კავშირსა ჰბადებს,—მაშინ პროგრესია.“ მაშასადამე, ცხადია, რომ პოლიტიკის მოსპობა ნიშანია რეგრესის დაწყებისა, 1) მაშასადამე მათი აზრით სოციალიზმი, რომელსაც კაცობრიობის დიდი ნაწილი უყურებს იმედით, იქნება საზოგადოებრივი რეგრესი. ჩვენი აზრით არც დე-გრეფეისთვის და არც მისი მოწაფისთვის არ არის ნათელი თუ რა არის პოლიტიკა. ჩვენი ვარაუდობით პოლიტიკა მათთვის უფრო ადამიანთა და საზოგადოებათა შინაგანი და გარეშე დამოკიდებულება მოქმედებაა მაგრამ ყოველი ურთიერთობა დამოკიდებულებაა და ამ ბურუსში არაფერი სჩანს. ჩვენი მხრით ჩვენ ვეცდებით, როდესაც საჭიროება მოიტანს გავარჩიოთ, თუ რა არის პოლიტიკა თავის წარმოშობით და განვითარებით და რა მოელის მას.

დიდი შეცდომაა არა ორგანიულ და ორგანიულ მოვლენებიდგან ეკონომიურ მოქმედების განცალკევება დროში და სივრცეში ისე, როგორც გენეზიურ, არტისტიულ და სხვა მოვლენების ერთი მეორესაგან დაშორება. ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ ამით, რომ ატომებიც კი ხელოვნებას ეწევაო ან თავიანთი რელიგია აქვთო, არამედ ჩვენ მოკლედ ვამბობთ, რომ ერთ კონკრეტულ მოვლენაში არც ერთი მათგანი დროში ერთი მეორეს არ უსწრებენ თავიანთ საერთო ხასიათით. ზნეობა მაგალითად განუშორებელია მისი შინაარსის და იარაღისაგან და რამოდენათ ან ზნეობა, ან მისი შინაარსი, ან მისი იარაღი უფრო და უფრო სადე ან რთულია იმოდენად დანარჩენებიც სადე ან რთული არიან და ერთად იცვლებიან და ერთად გადიქცევიან სხვა შინაარსად, იარაღად და გარეშე გამოჩინებათ; ამ გვარია სხვა სოციალურ მოვლენათა ევოლიუციაც, წინაალმდეგ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები და მათი მხარები იერარქიულად გამომდინარეობენ ერთი მეორესაგან, მაშინ სწარმოებს მათი თვით განვითარება—დიალექტიკა მოვლენათა.

ნუთუ შესაძლებელია ხალხი ეკონომიურ მოქმედებას მოკლებული, ნუთუ თვით ბიოლოგიური ბრძოლა არსებობისათვის არ არის ეკონომიური მოვლენა? ნუთუ შესაძლებელია ჯერ ხალხი და შემდეგ გენეზიური მოვლენები ან ხელოვნებას მოკლებული საზოგადოებრივი არსებობა (ხელოვნება ცხოველებსაც აქვსთ განსაკუთრებით საზოგადოებრივთ).

არც ის გვგონია შესაძლებელი, რომ პსიხიური მოვლენები მოისპოს და ხალხი ცოცხალი არსება კი განაგრძობდეს არსებობას, რაც შეეხება იურიდიულს და პოლიტიკურს უნდა ვთქვათ, რომ უმისოდ არსებობა ფაქტია საზოგადოებრივ განვითარების ისტორიაში. რაც შეეხება დე-გრეფის მიერ მეტაფიზიკის, რელიგიის და მეცნიერების რწმენის საერთო ემბაზში მონათვლას, უნდა ვსთქვათ, რომ რწმენა და ცოდნა სულ სხვა და სხვა ერთი მეორის უართმყოფი პსიხიური მოვლენებია. 1)

მეტია ლაპარაკი „ალსრულდას“ ავტორისა მეტაფიზიკურ ფარდებზე, რომელშიდაც, ამ გვარ კლასიფიკაციის გამო, პროგრესის და რეგრესის თეორია ველარ დაიწყებს პარპაშს, რადგან მისი და მისი მასწავლებლის თეორია თავის „იერარქიით,“ კლასიფიკაციით, რეალიზმით და მონიზმით თვით პარპაშობს მეტაფიზიკაში და უმეტესად მით უფრო მეტია მათი ამ გვარი აზრი რამოდენად მეცნიერება რწმენის დარგია მათთვის.

---

1) ეს ადგილი ზევით სრულიად არის მოყვანილი.

1) იქნება გვითხრან, რომ პოლიტიკა სხვა და სხვა გვარიაო—ეს ჩვენც ვიცით მხოლოდ დაგვიმტკიცონ, რომ პოლიტიკა არ არის სახელმწიფოებრივი და მთავრობითი.

1) ამ ორ მოვლენათა ანალიზს ჩვენ აქ ვერ შევუდგებით, მანამ მიუცილებელი არ გახდება მათი გარჩევა.

## უკბილოთა კბენანი *) და უგუნურთა მსჯელობანი.

კო... არ ცხრება თავის მეცადინეობაში შექმნას აბსურდი და შემდეგ დაარღვიოს ის. ის ამბობს: ,,კიუვიე უარჰყოფს დარვინის ევოლიუციას, მას მხოლოდ კატაკლიზმები სწამს, კატაკლიზმი კი **მოულოდნელი** აფეთქებაა, „რომელსაც **უცნობი** მიზეზები წარმოშობს.“ ანარქისტები ამბობენ; რომ მარქსისტები **კიუვიეს ემხრობიან** და მაშასადამე **უარყოფენ დარვინიზმსო,“** ე. ი. მარქსისტი ემხრობა კიუვიეს, რომელიც უარყოფს **დარვინიზმს და არა იმ შეცდომებს**, რომლებიც დარვინიზმშია შეპარული და უარჰყოფენ დარვინიზმს.

კო .. განაგრძობს: „**დარვინი უარყოფს** [1]) კიუვიეს კატაკლიზმებს, ის თანდათანობით ევოლიუციას ემხრობა. და აი, იგივე ანარქისტები გვეუბნებიან, რომ „**მარქიზმი დარვინიზმს** ეყრდნობა და **კრიტიკის თვალით** [2]) არ უყურებსო,“ ე. ი. მარქსისტები უარყოფენ კიუვიეს კატაკლიზმებსო.“ ე. ი. კიუვიეს კატაკლიზმებს უარყოფს დარვინიზმი და არა დარვინიზმში შეპარული შეცდომები, რომლებიც კიუვიეს ემხრობიან (ტელეოლოგიზმი).

დიახ, თუ მარქსისტები ემხრობიან კიუვიეს მაშინ ისინი უარყოფენ დარვინიზმს (რაც ცხადია ჩვენთვის), მაგრამ, როდესაც იმათი უვიცობით, თუ იძულებითი, ევოლიუცია და დიალექტიური განვითარება ერთდაიმავეთ მიაჩნიათ, მაშინ კრიტიკულად არ უყურებენ დარვინიზმს, რადგან დარვინიზმის შეცდომები ეთანხმება მათ და არა დარვინიზმს, როგორც ასეთი. გავაუქმოთ ეს მოსაზრებაც და ვნახოთ იგივე ფაქტი სხვა მხრით.

„ერთი სიტყვით (კარგი სიტყვის პატრონია კო...), ანარქისტები ამტყუნებენ მარქსისტებს—კიუვიეს ემხრობითო და ამავე დროს უსაყვედურებენ—რატომ დარვინს ემხრობით და არა კიუვიესო.“

“აი ანარხია!“

კოს **ერთი** ციტატა ამოუღია **დიალექტიკის** კრიტიკიდგან **მეორე** კი ამოუღია **ეკონომიური მონიზმის** კრიტიკიდგან, ესენი ორივე ერთი მეორეში აურევია და ორ განსხვავებულ ობიექტის შესახები ორი განსხვავებული აზრისთვის ერთი საგანი მიუცია, თითქოს ორივე ციტატა ეხებოდეს დიალექტიკის კითხვას. ცოტა არ იყოს შულერობას ჰგავს. როდესაც დიალექტიკას არჩევს „ნობათის სტატია შ. გ., მაშინ ის ხედავს დიდ ნათესაობას კიუვიეს ნახტომებით განვითარების თეორიის და დიალექტიკის შორის, როდესაც ეკონომიურ მონიზმს არჩევს, მაშინ კი გვიჩვენებს განსხვავებას ტელეოლოგიის და დეტერმინიზმის შორის ის ამბობს; „თქმა იმისა რომ ადამიანის ცხოვრებისათვის როგორც მიზნისათვის, საჭიროა ჭამა და ამის შემდეგ დასკვნა იმისა, რომ მაშასადამე უმთავრესი და უპირველესი ეკონომიური მდგომარეობა, წარმოებითი ურთიერთობა არისო, შეცდომა იქნება საზოგადოთ და კერძოდ და უმეტესად მარქსიზმის, როგორც მიზნიანობის, თელეოლოგიზმ ს უარის მყოფელის; დეტერმინიზმის და ტელეოლოგიის ერთი მეორეში არევა მარქსიზმის ფატალისტური შეხედულობის ბრალია“ და სხვა. რამდენიმე სტრიქონი ქვევით იგივე ავტორი განაგრძობს, რომ ეს ორი წინააღმდეგი მცნების ერთი მეორეში აღრევა შედეგია იმის, რომ მარქსი და ენგელსი „ემყარებიან დარვინიზმის თეორიაზე **ამ შემთხვევაში** მით, რომ მათთვის **ადამიანის მიზანი** თავის არსებობის, ცხოვრების დაცვა არის, ბრძოლა არსებობისთვის. **დარვინიზმი ბევრ პრინციპს შეიცავს რაც შეეხება არსებობისთვის ბრძოლას,** ჩვენ ვფიქრობთ, და თუ საჭირო შეიქმნა ბევრ საბუთს წარმოვადგენთ **იმ აზრის დასამტკიცებლად,** რომ დარვინიზმი **შეიცავს ტელეოლოგიის გვარიან მოზრდილ დოზას.“**

ავტორი ამგვარად ხედავს ერთდა იგივეობას მარქსის ეკონომიურ მონიზმს და დარვინის არსებობისთვის ბრძოლის პრინციპის უაღრესობაში **ერთდა იგივეობას,** რადგან დარვინის **ერთ-ერთ** პრინციპს შეადგენს ის რომ **ცხოვრების მოთხოვნილებათა** დაკმაყოფილება **უაღრესია,** უმთავრესია და უწინარესია დროში სხვა მოთხოვნილებებთან შედარებით სწორედ ისე როგორც მარქსისთვის საწარმოვო ძალები, ეკონომიური ურთიერთობა. მაშასადამე დარვინს **ემხრობა მარქსი** შ. გ. აზრით მხოლოდ შეცდომაში და ისიც დიალექტიურში კი არა სპეციალურად, არამედ მონიზმში,

[1]) კურსივი ჩვენია

[2]) კურსივი შ. გ. სიტყ. ჩვენია

*) იხ. ქარ. № 3.

მონიზმი კი შეიძლება იყოს მიზეზობრივი—უპირატესი და უპირველესი დროში და შეიძლება იყოს ლოღიკური, დიალექტიური—ერთდა-იგივეობა უკუღმართებისა. და სწორედ პირველი შემთხვევის—ეკონომიური მონიზმის შესახებ და ზევით მოყვანილ სიტყვების, უმთავრესად ხაზგასმულ სიტყვების გამო ამბობს ავტორი, რომ „თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ **დარვინს** თავის თეორიაში **ტელეოლოგია შეეპარა**, მაშინ არ გაგვიკვირდება ტელეოლოგიური (მონისტური) ხასიათი მარქსიზმის, რომელიც დარვინიზმს ეყრდნობა და **კრიტიკის** თვალით არ უყურებს.“

დღესავით ნათელია, რომ ავტორს ის კი არ უთქვამს, რომ დარვინს ერთთავად რად არ ემხრობა მარქსი არამედ, რათ ემხრობა შეცდომაში და არა იმაში რაც მართალია ამ თეორიაში და არა **შეპარული**.

ამასთანავე ცხადია ისიც, რომ კიუვიე უარყოფს დარვინის ევოლიუციას და დარვინი კიუვიეს თეორიას, მაგრამ კიუვიე სრულიად შემცდარია, მაშინ როდესაც დარვინი ძლიერ ბევრ შედარებით სიმართლეს ამბობს ბევრ შეცდომასთან ერთად. ავტორმა რომელსაც ჩამოჰკიდებია უსუსური კო... ის სთქვა, რომ მარქს-ენგელსმა უმთავრესი შეცდომა კიუვიესი შეითვისეს და ზედ დაუმატეს დარვინის შეცდომები, ის აი, რაც მართალს ჰგავს დარვინიზმში, ის, რაც დარვინიზმის უმთავრესი და უდიდესი, ღვაწლია ვერ დაინახეს—ისინი ცოდნის მუზეუმში იყვნენ ყველაფერი ნახეს ქინძისთავის-ოდენა შეცდომებიც კი დაინახეს. და გააყოლეს თავიანთ ჭკუის ჯიბეს და სპილო ვერდაინახეს. ამასთანავე ცხადია თვით მოყვანილისიტყვიდან, რომ კრიტიკულად მოქცევას თხოულობს ავტორი და არა უარყოფს ხელაღებ კრიტიკა უარყოფა კი არ არის, არამედ რევიზია ექვის შემდეგ, რევიზია, რომელიც იმ აზრს რომელსაც მართლად ხედავს სტოვებს. ალბად თავის მარქსიზმს იმიტომ არ უყურებენ ს.-დემოკრატები კრიტიკულად, რომ მათთვის კრიტიკა პირწმინდა უარყოფაა. გვწამს მათი ჭკუა და ცოდნა. ალბად სხვა ყველა მეტის-მეტი სულელები და უვიცი არიან ს.-დემოკრატები კი კრიტიკის გარეშე, ზევით და ქვევითაც დგანან.

(შემდეგი იქნება).

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაკტორო! უმორჩილესად გთხოვ ადგილი დაუთმოთ თქვენის გაზეთის მახლობელ ნომერში ჩემს პატარა წერილს. როგორც ყოველ კვირეულ გაზეთის „შუამავალის“ პირველ ნომერში, სადაც ორჭოფობას მაბრალებენ, ისე ზოგიერთ უწინდელ სახუმარო გაზეთებშიაც ოზურგეთიდგან მოწოდებულ კორრესპონდენტიებში ტყუილ უბრალოდ ვერ ჩირქ მოცხებული. თუმცა მე აქამდის პასუხი არ გავეცი იმიტომ, რომ მე ვფიქრობდი, ბ.—ნ ეშმაკი თვით გაიგებს სინამდვილეს მოჭორებულ წერილებისა და სიმართლეს თვითონ აღადგენდა, მაგრამ ეს ჩემი ფიქრი არ გამართლდა და ამისათვის, როგორც ზნეობრივი, ისე მოქალაქობრივი ვალდებულება მოითხოვს ხალხის თვალში უმიზეზოდ ჩირქის მომცხებმა მოპირდაპირემ საჯაროთ გამ სწორდეს, რასაკვირველია, ნამდვილი და უტყუარი ჩვენი საქციელის დამამტკიცებელი საბუთებით და არა ტყუილა ლიტონა სიტყ ებით. რის გამო ბ.—ნ. ეშმაკს ვითხოვ გამომყვეს სამედიატორო სამართალში და ამისათვის ვთხოვ მას (ბა—ნ შმაკს) გაზეთის საშუალებით გამოაცხადოს თანხმობა სამედიატორო სამართალში გამოსვლისა, დამინიშნოს ადგილი და დრო. რომ დანიშნული დროსათვის შემეძლოს მედიატორების დას ხელება რომელნიც დავალებულნი იქნებიან მსჯავრი დაიდონ ჩვენს ვინაობას.

**ივლიანე ჯაყელი.**


# განცხადება

**22** ივლისიდან ქალ. თბილისში გამოდის

ყოველ—კვირეული ქართული სამეცნიერო—ლიტერატურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ—ეკონომიური გაზეთი

## „ქარიშხალი“

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებიდან, გაზეთი ეღირება წლიურათ 3 მან. ნახევარი წლით — 1 მ. 50 კ. სამი თვით 80 კაპ. ცალკე ნომერი თფილისში ღირს **ერთი შაური**, პროვინციაში — 6 **კაპ**,

გაზეთის რედაქცია და კანტორა ყოველ-დღე ღიაა. დილით 10—2 ს. და საღამობით — 5—7 ს. კვირა-უქმე დღე 10—12 ს.

ადრესი: Тифлисъ: Семеновская ул. №4 типографя „Надежда“ редактору газеты „Каришхали“.


რედაქტორ-გამომცემელი **ივ. ებრალიძე.**

სტამბა „ნადეჟდა“ კ. თაქართქილაძისა. სემენოვის ქ. № 4.